საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 22 01019390

18/04/2022

ქალბატონ მირანდა თეთრაძეს
ელფოსტა: *foi+request-530-03f7455d@askgov.ge*

ქალბატონო მირანდა,

მიმდინარე წლის 11 აპრილის № 947608 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს და შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის სამსახურებს გადასცემს, გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი რესურსის განსასაზღვრად.

გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

განგიმარტავთ, რომ ცხოველ(ებ)ის მიმართ არასათანადო/სასტიკი მოპყრობის ან წამების (რამაც მისი სხეულის დაზიანება ან სიკვდილი გამოიწვია) შესახებ შემოსული შეტყობინებების ცალკე გამოსაყოფად, 2019 წლის 18 ივნისს შეიქმნა ინციდენტის ტიპი: „**ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა**“. თუმცა, აღნიშნული ინციდენტის ტიპი აერთიანებს ნებისმიერი სახის ცხოველის მიმართ არასათანადო/სასტიკი მოპყრობის და წამების შესახებ შემოსულ შეტყობინებებს და მათი ერთობლიობიდან მხოლოდ მიუსაფარი ძაღლების მიმართ ჩადენილი დანაშაულის შესახებ შემოსული შეტყობინებების გამოყოფა არ არის შესაძლებელი.

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**